

სოციალური ქსელები და საგანმანათლებლო პროცესი

თენგიზ კუპრაშვილი - ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

Social networks and educational process

Tengiz Kuprashvili –Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Introduction and aim: Rapid development of information and communication technologies leads to a heated debate about the place and a role of social networks in modern educational process. Let us notice what is talked today already about mobile training, virtual training, that is about change of an educational paradigm in general, about approach of a so-called era of electronic pedagogics.

Research methodology: Observation of training process was used as research methodology, which has shown that at mobile training, along with other methods, there are certain features for assessment and practical applicability.

Results and implications: The most "advanced" Internet users are representatives of the younger generation. Unfortunately, they are attracted more by not training materials, but the websites having an entertaining focus to which by right it is possible to carry also various social networks. It is known that social networks were created for the purpose of virtual interaction of people, establishing communication. As all users are equal according to the status, communication becomes more open and easy. The student can without fear and work to ask the teacher a question concerning the passable subject and to receive the complete answer.

Possibilities of use of modern social networks do not allow to be guided any more only by lecture and seminar occupations which constitute a basis of traditional training process of students and underestimation of this circumstance can deprive domestic education of a strategic benefit.

Conclusion: of the studying based on a problem enters the new strategy of training and assessment of knowledge. Changes the training purpose. It is focused not only on obtaining the prepared knowledge, but also on development of skill. The student, a subject of interactive training, is its active participant.

Keywords: continuing education, online education, distance learning, social network, blended learning

საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, მკაცრად დააყენა საგანმანათლებლო პროცესში სოციალური ქსელების ადგილისა და როლის საკითხი. აღსანიშნავია, რომ დღესდღეისობით საუბარი მიმდინარეობს მობილურ და ვირტუალურ სწავლებაზე, ე.ი. საგანმანათლებლო პარადიგმის ცვლილებაზე, ე.წ. ელექტრონული პედაგოგიკის ერის დადგომაზე. ინტერნეტის ძირითად მომხმარებლებს, ჯერ კიდევ, წარმოადგენს ახალგაზრდა თაობა. სამწუხაროდ მათ საგანმანათლებლო რესურსებზე უფრო მეტად იზიდავს გასართობი ხასიათის რესურსები, რომლებსაც შეიძლება მივაკუთვნოთ სოციალური ქსელები.

სოციალური ქსელი ესაა ერთგვარი ონლაინ-სერვისი, რომლის დახმარებითაც შესაზღვრებელია სოციალური კავშირების შექმნა, ურთიერთობების აწყობა, სხვადასხვა ინფორმაციის გავრცელება და ა.შ. აღნიშნვის ღირსია სოციალური ქსელების თვისებები, რომლებიც მას განასხვავებენ ჩვეულებრივი საიტისაგან.

- სოციალურ ქსელებში შესაძლებელია ინდივიდუალური პროფილის შექმნა პირადი ინფორმაციით, რომელიც შესაძლებელია ხელმისაწვდომი იყოს (ან არ იყოს) ყველასათვის;
- სხვა მომხარებლების დამატება „მეგობრებად“ და მათი „საქმიანობაზე“ დაკვირვება;
- კომუნიკაციის განხორციელება შესაზლებელია, როგორც პირადი ურთიერთობის მხრივ, ასევე სხვადასხვა ჯგუფებში, ბლოგებსი, ჩათებში, კომენტარებში და ა.შ.
- ნებისმიერი სახის ინფორმაციის გავრცელება და გაცვლა.

დღეს ექვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა თაობა, საშინაო დავალების შესრულებას და გამოცდებისათვის მომზადებას, ამჯობინებსთვისუფალი დროის უდიდესი ნაწილი გაატაროს სხვადასხვა სოციალურ ქსელებში: ურთიერთობენ, ათვალთვლებენ მეგობრების აქტივობებს და ა.შ., ამას ემატება სხვადასხვა თამაშები. ამიტომაც თანამედროვე პედაგოგი უნდა დაფიქრდეს სოციალური ქსელების საგანმანათლებლო მიზნებით გამოყენების შესაძლებლობაში.

როგორც ცნობილია სოციალური ქსელები შეიქმნა ადამიანების ვირტუალური ურთიერთობის, კომუნიკაციური პროცესის განვითარების, მიზნით. რამდენადაც ყოველი მომხმარებელი სტატუსით თანაბარია, ურთიერთობე უფრო ღია და თავისუფალია. მოსწავლეს შეუძლია პედაგოგს დაუსვას ნებისმიერი შეკითხვა განვლილი მასალიდან, ყოველგვარი შიშისა და პრობლემის გარეშე და შესაბამისად მიიღოს სრულყოფილი პასუხი. ერთობლივი პროექტების განხილვა, მოსწავლეების მიერ ჩვეულებრივ ხორციელდება სპეციალურად შექმნილ ჯგუფებში, ვიდეოკონფერენციის რეჟიმში, რომლის დროს ნებისმიერ მონაწილეს შეუძლია საკუთარი აზრისა და იდეის გამოხატვა. პედაგოგს თვის მხრივ გააჩნია პროფესიული ზრდის დამატებითი შესაძლებლობები: სოციალურ ქსელებსი კოლეგებთან გამოცდილების გაზიარება, საკუთარი მეთოდების დემონსტრირება და მისი განხილვა და ა.შ. სოციალური ქსელები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც უშუალოდ სწავლის პროცესის მართვის მიზნითაც. ამ შემთხვევასი აუცილებელია მოსწავლის მუდმივი შეფასება განვლილი მასალის შესახებ. პედაგოგის ძირითადი ამოცანაა - თეორიული მასალის მიმზიდველი ფორმით მოძიება და განთავსება (პრეზენტაცია, ვიდეორგოლი და ა.შ.), აგრეთვე ამოცანების დადება და მონიტორინგი მასალის ათვისების. პედაგოგი დებს საიტზე ახსნილი მასალის შესახებ დავალებებს, რომლებიც შესრულებული უნდა იქნას გარკვეული დროის განმავლობაში, რომლის გასვლის შემდეგაც ხდება მათი შეფასება. ამ ვადის გასვლის შემდეგ დავალების ჩაბარება შეუძლებელია, შესაბამისად შეფასება არის არადამაკმაყოფილებელი. ამასთანავე სოციალური ქსელები იძლევიანსასუალებას მოხდეს გამოქვეყნებული ინფორმაციის შენახვა და გაცვლა.

როგორც ცნობილია, ყველაზე მყარი ცოდნა არის - ფაქტები, რომლებიც მოსწავლემ თვითონ „აღმოაჩინა“. თავისუფალი და შემოქმედებითი მიდგომა პრობლემისადმი, რაც სოციალურ ქსელებში ადვილი განსახორციელებელია, ხელს უწყობს არასტანდარტულ აზროვნებას, შემოქმედებით საქმიანობას და შესაბამისად სწავლისადმი მოტივაციის ზრდას.

აქ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას გარკვეული შეუიბრებლობის პრინციპიც, სხვადასხვა ტიპის კონკურსების ჩატარების გზით (ან საუკეთესო გადაწყვეტის გზა, ან საუკეთესო ვიდეორგოლი და ა.შ.). ასეთი ონლაინ-ღონისძიების აარბიტრაჟი ხორციელდება ჯგუფის წევრების მიერ მოწონებების (Like) და კომენტარების საშუალებით, კომენტარების, რომელშიდაც

შესაზღვრელია იყოს კრიტიკაც და რჩევებიც. ამ პროცესით მიღებული დადებითი შედეგი მუდმივად დარჩება მოსწავლის გონებაში.

საყურადღებოა, რომ კვლევის შედეგების მიხედვით, 9-დან 25 წლამდე ახალგაზრდებიც 80%-ს გააჩნია საკუთარი პროფილი სხვადასხვა სოციალურ ქსელებში (ძირითადად Facebook-ში). შესაბამისად პედაგოგებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ ქსელს, და მისი შესაძლებლობების გამოყენებას სწავლების პროცესში.

პირველ ეტაპზე პედაგოგმა უნდა შექმნას ახალი პროფილი, რომელზედაც პირადი ინფორმაცია მცირე მოცულობით უნდა იყოს წარმოდგენილი, ამ გზით ხდება ტრადიციული დისტანცირება ურთიერთობისას.

შემდეგი ნაბიჯია მეგობრებში ყველა მოსწავლის დამატება, რაც უზრუნველყოფს ნდობას, სამუშაო ატმოსფეროს შექმნასა და კომუნიკაციის მაღალ დონეს. ჯგუფში მოქმედების წესების შემნაც პედაგოგის პრეროგატივაა.

შემილ ჯგუფში პედაგოგსა და მოსწავლეებს შეუძლიათ: ახალი ინფორმაციის შეთავაზება; მეგობრების ჩანაწერების კომენტირება; მათი მიღწევების შესახებ ალბომების (რომელშიც წარმოდგენილი იქნება რთული ამოცანების ამოხსნა, ან ორიგინალურად ამოხსნილი ამოცანები და ა.შ.) შექმნა; სხვადასხვა გამოკითხვების ჩატარება და ა.შ.

ზემოთაღწერილიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ შეიძლება აღვნიშნოთ სოციალური ქსელების საგანმანათლებლო პროცესში გამოყენების დადებითი მომენტები.

- სწავლების პროცესის უწყვეტობა, რამდენადაც არის პედაგოგსა და მოსწავლეს შორის გრძელვადიანი ურთიერთობის საშუალება ორივე მხარისათვის მისაღები რეგლამენტით;
- პედაგოგს შეუძლია სასწავლო პროცესი მიმართოს, როგორც მთლიანად ჯგუფისაკენ, ასევე მისი რომელიმე წევრისადმი კონკრეტულად;
- სოციალურ ქსელებში სასწავლო პროგრამის საინფორმაციო უზრუნველყოფა, საშუალებას აძლევთა მოსწავლეებს, რომლებმაც გააცდინას სხვადასხვა მიზეზით მესაძინებობა არ ჩამორჩნენ პროგრამას;
- თემები და საკითხები რომლების სრულყოფილი ახსნაც ვერ მოეწრო სასწავლო დაწესებულებასი შესაზღვრელია განხილულ იქნას ერთობლივი დიალოგის დროს, რაც ხელს შეუწყობს საგნის უფრო ღრმად შესწავლას.

სოციალური ქსელების გამოყენების ნაკლოვანებებს შორის აღსანიშნავია:

- ზოგიერთი პედაგოგის არა მზაობა დაუთმოს საკუთარი თავისუფალი დროის დიდი ნაწილი ამ საქმიანობას;
- მრავალწლიანი გამოცდილების პქონე პედაგოგების სუსტი კომპეტენცია, სოციალური ქსელების გამოყენებისადმი;
- სოციალურ ქსელებში ძნელად შეღწევადობა, სოფელსა და პროვინციაში არსებული სასწავლო დაწესებულებში;
- სოციალური ქსელებში ინფორმაციის არასაკმარისი დაცულობა და ა.შ.;

ამრიგად, სამეცნიერო-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესებასთან ერთად ჩნდება ახალი ინსტრუმენტების, რომლების გამოყენც შესაზღვრელია სწავლების პროცესში და ერთერთი ასეთი ინსტრუმენტია სოციალური ქსელები. ბევრი სკეპტიკურად უყურებს სოციალური ქსელების

საგანმანათლებლო მიზნებში გამოყენების პერსპექტივას, რამდენადაც ტრადიციული წარმოდგენით სოციალური ქსელი განიხილება, როგორც განათლების ანტაგონისტი, დასვენებისა და გართობის გარემო. მაგრამ, არ ითვალისწინებენ იმას, რომ მისი დახმარებით შესაზღვრელია ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, როგორებიცაა: შრომითი კოლექტივის ერთობლივი დისტანციური სწავლება, გრძელვადიანი სამეცნიერ-საპროექტო საქმიანობა, ონლაინ-კონსულტაციების (როგორც ინდივიდუალური ისე კოლექტიური) რაც ძალიან მნიშვნელოვანია და სასაარგებლოა ინტელექტუალური და შემოქმედების ზრდის მისაღწევად.

თანამედროვე სოციალური ქსელების დიდაქტიკური კუთხით გამოყენების შესაძლებლობები, თანამედროვე გამოწვევები, ერთის მხრივ, და ახალი საგანმანათლებლო ამოცანები, რომლებიც დგას დღევანდელი სკოლის, პროფესიული განათლების თუ უმაღლესი სასწავლებლების წინაშე, საშუალებას იძლევიან სასწავლო პროცესი გასცდეს ტრადიციული ლექცია-სემინარულ მეცადინეობებს, რომელიც წარმოადგენს სწავლის პროცესის ტრადიციულ საფუძველს და მოსწავლეებს შესთავაზოს თანამედროვე ინტერაქტიური განათლება, როგორც უკეთესი. სასწავლო დაწესებულებების განვითარების სტრატეგიაც მიმართული უნდა იყოს განათლების მიცემის ახალი ფორმებისაკენ, რომელიც მიმზიდველსა და სასიამოვნოს გახდის განათლების მიღების პროცესს.